სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

57552047912715

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150221626

რეგისტრაციის თარიღი

09.03.2015 წ

ნოტარიუსი: რუსუდან მინდიკაური
მისამართი: ქ.თბილისი, კალოუბნის ქ. #6, I სართული
ტელეფონი: 276 21 81

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათას თხუთმეტი წლის ცხრა მარტს მე, საქართველოს ნოტარიუსს რუსუდან მინდიკაურს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, კალოუბნის ქ.№6, პირველი სართული, მომმართა ბ-ნმა **ტარიელ ბაბაჯანაშვილმა,** როგორც შპს **„შოანდე"**-ს დირექტორმა (შპს **„შოანდე"**-ს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, საიდენტიფიკაციო კოდი: 406139520, გაც. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ამონაწერის მომზადების თარიღი 18/02/2015 10:51:59, განაცხადის განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B15035084), რომელმაც მოითხოვა მინდობილობის ტექსტის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პასპორტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბ-ნმა **ტარიელ ბაბაჯანაშვილმა** (დაბად. 22.02.1980წ., გაცხადებული მისამართი: თბილისი, ხომლელის ქ., კორპ. 3, ბინა 30, პასპორტის №**10BB67896**, პირადი №**01001026680**, გაც. 17.01.2012წ იუსტიციის სამინისტროს მიერ) მომმართა. მე აგრეთვე შევამოწმე მისი უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე ბ-ნ **ტარიელ ბაბაჯანაშვილს.** მან განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებასა და სურვილს და შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათას თხუთმეტი წლის ცხრა მარტს მე, **ტარიელ ბაბაჯანაშვილმა** (დაბად. 22.02.1980წ., გაცხადებული მისამართი: თბილისი, ხომლელის ქ., კორპ. 3, ბინა 30, პასპორტის №**10BB67896**, პირადი №**01001026680**, გაც. 17.01.2012წ იუსტიციის სამინისტროს მიერ), როგორც შპს **„შოანდე"**-ს დირექტორმა ბ-ნ **ბადრი სექანიას** (დაბად. 16.01.1967წ., მისამართი: თბილისი, ვ.ბერიძის ქ. №6, პირადი №**01012010642**)

მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

ბ-ნი **ბადრი სექანია** უფლებამოსილია, რომ მან ჩემი, როგორც შპს **„შოანდე"**-ს დირექტორის სახელით მოამზადოს, დაამტკიცოს და მიიღოს შპს **„შოანდე"**-ს საკუთრებაში არსებულ 1400.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქალაქი თბილისი, ქუჩა ჯავახეთი, ნაკვეთი 12/026,** (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.36.012.026) ასაშენებელი საცხოვრებელი კორპუსის (შენობა-ნაგებობ(ებ)ის) არქიტექტურული პროექტი, მშენებლობის ნებართვა და აღნიშნულთან დაკავშირებით ნებისმიერი დოკუმენტი (შეთანხმება, ნებართვა, ბრძანება და სხვა), საჭიროების შემთხვევაში დაესწროს საქმის განხილვას, შეიტანოს ნებისმიერი სახის ცვლილება/კორექტირება არქიტექტურულ პროექტში და ნებისმიერ დოკუმენტში, მიიღოს/ჩაიბაროს აღნიშნული საქმისწარმოებისას გამოგზავნილი წერილი/დოკუმენტი, აღნიშნულთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი ქ.თბილისის მერიაში, ქ.თბილისის მერიის იურიდიულ სამსახურში, ქ.თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ქ.თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურში, ქ.თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ ნებისმიერ სამსახურში, იუსტიციის სახლში, სსიპ - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში, გამგეობაში/საკრებულოში და ნებისმიერ სახელმწიფო, ადმინისტრაციულ და კერძო სამსახურში/დაწესებულებაში, ჩემი, როგორც შპს **„შოანდე"**-ს დირექტორის სახელით შეიტანოს/წარადგინოს განცხადებები, ცნობები, ნახაზები და ნებისმიერი დოკუმენტი, მიიღოს ყველა საჭირო დოკუმენტი ნებისმიერი სამსახურიდან, საჭიროების შემთხვევაში უკან გამოითხოვოს ჩაბარებული დოკუმენტები, გადაიხადოს კანონით გათვალისწინებული გადასახადები, ხელი მოაწეროს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც საჭირო გახდება აღნიშნული დავალებების შესასრულებლად.

მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ნოტარიუსის რ.მინდიკაურის სანოტარო ბიუროს არქივში, დანარჩენი გადაეცა - ბ-ნ **ტარიელ ბაბაჯანაშვილს.**

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2016 წლის 09 მარტის ჩათვლით.

მარწმუნებელს შეუძლია ნებისმიერ დროს გააუქმოს აღნიშნული მინდობილობა, რისთვისაც საჭირო გახდება გაცემული მინდობილობის ყველა ეგზემპლარის წარდგენა სანოტარო ბიუროში.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ, №507 დადგენილების თანახმად, 31-ე მუხლის შესაბამისად 10.00 (ათი) ლარი და 39-ე მუხლის საფუძველზე - სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი.

ხელმოწერა: ტარიელ ბაბაჯანაშვილი

ნოტარიუსი: / რუსუდან მინდიკაური /

საქართველო. ნოტარიუსი რუსუდან მინდიკაური * GEORGIA. NOTARY RUSUDAN MINDIKAURI * ნოტარიუს რუსუდან მინდიკაურის * 01027027878 *